ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი** რეგულარულად ატარებს ფორუმებს საჯარო დისკუსიის სახით სახელმწიფო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე. ფორუმის მიზანია, შედგეს დიალოგი მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის მოცემული თემის საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მოიძებნოს არსებული პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტილების გზები და დაისახოს სამომავლო პერსპექტივები.

ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის **რიგით მე-9 ფორუმი** ჩატარდება

2016 წლის 19ოქტომბერს თსუ-ს პირველ კორპუსში, აუდ. 006, 15:30 საათზე

თემაზე

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება: წარმატებული მოდელები და საქართველოს გამოწვევები

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობასთან არსებული განათლების საერთაშორისო ცენტრის, საჯარო სამსახურის ბიუროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის და ასევე საქართველოში არსებული საჯარო მმართველობის სხვა სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები, საქართველოს უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები, საჯარო მოხელეები და სტუდენტები.
ფორუმის მუშაობაში ასევე მონაწილეობას მიიღებს და მოხსნებით გამოვა გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის წარმომადგენელი ბატონი **გერჰარდ ფუკნერი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა რაინლად-პფალცის მიწის ქ. მაინცში შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელად. იგი განმარტავს მოცემულ საკითხს გერმანიაში არსებული გამოცდილებისა და ევროპული პრაქტიკის გადასახედიდან.

დღის წესრიგი

15:30 ფორუმის გახსნა

პროფ. ირაკლი ბურდული, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

15:45 ვახტანგ ასანიძე, საქართველოს მთავრობასთან არსებული განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამის მენეჯერი

პრეზენტაცია: მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების და უნარების გაუმჯობესენის შესახებ საქართველოში

დისკუსია

16:15 მაია ხოსიტაშვილი, სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“- პროექტის მენეჯერი

პრეზენტაცია: **პროექტი 50 საჯარო მოხელე**

16:45 გერჰარდ ფუკნერ, გერმანიის მაინცის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების ხელმძღვანელი

პრეზენტაცია: ძირითადი განათლება და კვალიფოკაციის მუდმივი ამაღლება - სისტემა და ინტერაქცია

17:10 დისკუსია

17:40 შედეგების შეჯამება